შინაური საქმეები.

ყოველ-კვირეული გაზეთი

№ 8.

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი 4 მან.

წლიწადი პირველი

კვირა, 3 მარტი 1913 წელი

შინაარსი: 1. მაქსიმე აბაშიძე. უკანასკნელი კათალიკოსი იმერეთისა; 2. უძღები შვილი—კოტე გძელისა; 3. ერთი კვირე ჯრუჭის მონასტერში—დეკ. ი. წერეთლისა; 4. ისტორიული ნაშთები გურიაში—ვ.ჰ.-სა; 5. მოწერილი ამბები, ა) დამსწრესი, ბ) მღ. იოანე ციცქიშვილისა, გ) ილარიონ ხარშილაძესი, დ) მღ. ვლ. მაჭარაშვილისა, ე) ჩხარელისა; 6. წერილი რედაქციის მიმართ—ბლაღ. მღვ. იოანე მარგიანისა; 7. მადლობის გამოცხადება.

მაქსიმე აბაშიძე

უკანასკნელი კათალიკოსი იმერეთისა. (1776—1795 წ. წ.)

(ბ. თევდორე ჟორდანიას წერილისა გამო: ,,ბიჭვინტის სიგელ-გუჯრები"*).

აუწერელი აღტაცებით მივეგებე ჩვენი მცხოვანი არქეოლოგ-ისტორიკოსის თ. დ. ჟორდანიას ხელახლა გამოსვლას სამეცნიერო ასპარეზზე. „ბიჭვინტის სიგელ-გუჯრების" წაკითხვაზე ცახცახი დავიწყე! ეს ცახცახი იყო სიხარულის და დიდებული წუთის განცდა! რა მახარებდა მე? ორი გარემოება: ერთი ის, რომ სამშობლომ ჰპოვა დიდი ხნით მიფარებული ძე მუშაკი, რომელზედაც გულდაწყვეტილი იყო მიბარებული ქანქარის დაუქმებისათვის, მეორე ის, რომ თვალ-წინ წარმომიდგა დიდებული სურათი მამა-პაპათა ღვაწლისა, ამაგისა, სხივ-მოსილი ჩვენი წარსულისა, და გულ-

*) იხ. ჟურნ. ,,განთიადი" № 1, 1913 წ., გვ. 267—268).

ყოველ-კვირეული გაზეთ

„შინაურ საქმეებზე" ხელის მოწერა მიიღება (რედაქციაში, ქ. ქუთაისში სამერთალოთ—კახაკოვის მესახლეში № 17). და თბილისში გამომცემლთან სომხის ბაზარში, სამთავრობის მუშის მაღაზიაში. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	ნახ. წლით:	სამი თვით:	ერთი თვით:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანა წლიურ ხელის მომწერთათვის შეიძლება ისე განაწილდეს: თავიდგან 2 მ. და 1 იენისს 2 მ.

განცხადებების ფასი წინა გვერდზე ბეჭდური სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების" რედაქცია.

მა იგივე დიდებული წუთი განიცადა მთელი თავისი ძალით! მადლი უფალსა, რომელმაც მისცა ბეჩავი მამულის მეცნიერს შვილს ძალა დაბრუნებისა იმ ასპარეზზე, სადაც ერთ დროს მან ღრმად გააკლო კვალი და აღბეჭდა ნავალი თვისი! დიდი ხანია ბ. თ. ჟორდანიას აღარ უმუშავნია ჩვენი მეცნიერებისათვის და ყოველი ჭეშმარიტი ქართველი ვალდებულია სიხარულით მიეგებოს მის გამოსვლას. ბ. ჟორდანიას დიდი მომზადება აქვს ქართულ ისტორიაში. მომზადებას გარდა კიდევ რამ სჭირდება ისტორიკოსს — საჭიროა ალღოს აღება ერის წარსულისა, მისი სულისა, ორგანიულად შეხორცება მასთან, სულიერი განცდა მისი სულის კვეთების დედა-ძარღვისა, და სამხიარულოდ, სწორედ აქაც ამაყად შეუძლია ჟორდანიას სთქვას, რომ დღეს იგი ერთად ერთი შეიარაღებული ქართველია ჩვენი წარსულის შემგნები, მცოდნე, მისი ალღოს ამღები. ჩვენი სასულიერო კულტურის და ეკლესიის ისტორიის დაწერა, ჩვენი აზრით, დღეს მარტო ჟორდანიას შეუძლია, მარტო მას აქვს ამისათვის ყველა საჭირო მასალაც და ცოდნა-გრძნობაც და კიდეც ავალებს მას მშობელი ერი ემსახუროს ამ საქმეს, დიდი ენერგიით და ნიჭით დაწყებული საქმე განაგრძოს, დააგვირგვინოს, მიბარებული ქანჭარი დაუბრუნოს მშობელს „მონაგებითურთ", გამოაქვეყნოს ის უხვი და ფასდაუდებელი მასალა, რაიცა ხელთ აქვს, გამოსცეს თვისი ქრონიკების 3—4 წიგნები და დარწმუნებულიც იყოს ბ. ჟორდანია, რომ სამშობლო, ღვიძლი ერი შემქნელი ამ კულტურისა და ამ წარსულისა, კი შესძლებს მისი მოამაგე შვილის ღვაწლის დაფასებას. მეორე მხრითაც, მხოლოდ აქ შეიძლება ბ. ჟორდანიას სახელის შექმნა და განდიდება და არა იქ, სადაც იგი ამას წინეთ ხელმოკლეობამ ჩააგდო.

ამ წინასიტყვაობის შემდეგ, ნებას მივცემ ჩემს თავს ბ. თ. ჟორდანიას ზემო ამოწერილი წერილის შესახებ, ანუ უკეთ ვსთქვათ, დასაძენად, აქ მცირე ისტორიული შენიშვნა გავაკეთო.

ბ. ჟორდანია იმერეთის უკანასკნელი კათალიკოსის მაქსიმეს შესახებ შენიშნავს: „სწერენ 1795 წელს ის კიევში მოკვდა", სადაც დღემდი ინახება მისი ძვირფასი მიტრა და სხვა სამკაული. მაგრამ როგორც ერთი გუჯრის პირიდან სჩანს, მაქსიმე (მეორედ?) წაბრძანებულა რუსეთში 1804 წელს და არ დაბრუნებულა. ჭეშმარიტი ცნობა არა გვაქვს იმაზე, თუ როდის გადაიცვალა („განთიადი" № 1, გვ. 267—268).

ამაზე უნდა მოვახსენოთ პატივცემულს ჟორდანიას, რომ სწორედ „ჭეშმარიტი ცნობა გვაქვს იმაზე, თუ როდის გადაიცვალა მაქსიმე. კიევის პეჩორის ლავრის დიდი ეკლესიის კედელში სამხრეთით გარედან არის ჩაჯენილი ოთხკუთხიანი ბრინჯაოს ფიცარი, რომელზედაც შემდეგი სწერია: „въ царствованіе благочестивѣйшія, Самодержавнѣйшія, Великія Государыни, Императрицы Екатерины Алексѣевны вторыя, Самодержцы Всероссійскія, при наслѣдникѣ Ея благовѣрномъ Государѣ Цесаревичѣ Великомъ Князѣ Павлѣ Петровичѣ *), (ჩამოთვლილია მთელი სამეფო სახლობა) отъ воплощенія Бога Слова 1795 г. мѣсяца мая 30 дня въ среду въ началѣ 7-го часа пополудни представился Преосвященный Максимъ, каталикосъ Имеретинскій, Абхазскій, пребывавшій на покоѣ въ градѣ Астраханѣ, пріѣхавшій же въ городъ Кіевъ на Богомолье, имѣвшій отъ рожденія своего не съ большимъ (sic) 70 лѣтъ болѣвшій каменною (sic) болѣзнью и простудою и погребенъ здѣсь въ Кіево-Пе-

*) ამელე „ფიცარზე" 1796 წელს, ბოლო ალტერნე მიეცვალა.

черской Лаврѣ на правой сторонѣ великія церкви Успенія Пресвятыя Богородицы отъ стѣны предѣла девять разстояніемъ сѣмъ (сіе) аршинъ исполненъ духовнаго предъ свѣтомъ Слова."

ეს ცნობა, როგორც ეტყობა ბევრს სხვასაც არ ჰქონია, ვისაც მაქსიმეზე უწერია. ბ. ა. ნატროშვილი მაქსიმეს სიკვდილს სდებს 1796 წელს (Михетъ и его соборъ... стр. 444), თანაც მაქსიმე ნიჟარაძედ გამოჰყავს. ყოველად სამღვდელო კირიონს სცოდნია დღე და წელი მაქსიმეს სიკვდილისა, როგორც კიევში ყოფილს, მაგრამ გვარად ნიჟარაძე ჰგონია. (Кр. очеркъ ист. Груз. ц. стр. 69). მამა კარბელაშვილიც სცდება, როცა უჩვენებს 1796 წელს (იერარქია საქ. ეკლესიისა, გვ. 210).

ვგონებ, ბ. ეორდანია შეუყვანია შეცთომაში დ. ფურცელაძეს, რომელმაც შეცდომით ერთი გუჯარი მაქსიმეს შესახებ 1784 წლის ნაცვლად 1804 წლისად გამოაცხადა (Церк. Гудж. 154 გვ.). როგორც მოგეხსენებათ, დ. ფურცელაძემ შეცდომებით აავსო მის მიერ გამოცემული **საეკლესიო გუჯრები** და ამით ბევრ გამოუცდელ მკვლევარს დავიარი აურია. მაქსიმე აბა როგორ წავიდოდა რუსეთში 1804 წელს, როცა ამ დროს ის ცხრა წლის მკვდარი იყო! მართალია, მაქსიმე ორჯერ იყო გაგზავნილი რუსეთში ელჩად, მაგრამ არა 1769 წ. და 1804 წელს, არამედ პირველად 1768 წ. მეფე სოლომონ დიდის დროს და მეორედ 1784 წელს მეფე დავითის დროს**.) მოვიყვანთ აქ დ. ფურცელაძის შეცდომების რამოდენსამე ნიმუშს. ფურცელაძის

**) შეცდარია ბ. თ. ეორდანია იმაშიც, რომ უეხსენელ კათალიკოსად იმერეთში სთვლის დოსითეოზს და არა მაქსიმეს. (Абхазскіе каталикосы, стр. 23). დოსითეოზი იყო არა კათალიკოსი, არამედ „ეპისკოპოსი საკათოლიკოსოისა." (Церк. Гудж. 154; Ен. Киріовъ, кр. очер. ст. 69).

გამოცემული მასალით, დავით ნემსაძე იყო იმერეთის კათალიკოსად 1682 წელს (?), 1685 წ., 1705 წ. და 1770 წელს, ე. ი. 82 წლის განმავლობაში! Церк. Гудж. стр. 147, 148, 151; შეადარე Brosset Aisijiou 2, 439). **გრიგოლ ლორთქიფანიძე** კათალიკოსად სჩანს იმავე მასალებში 1706—1707 წ., 1716 წ. და 1773 წლებში, ე. ი. 67 წლის განმავლობაში! (იხ. Histoiravela Georgie II, 217; 256), იოსები სჩანს ჯერ ეპისკოპოსად 1912 წელს, 1711 და 1774 წლებში, 1759 და 1761 წლებში გაენათის მიტროპოლიტად, 1772—1783 წლებში ისევ კათალიკოსად! (Ц. Гудж. 134, 136—137, 141 148—150; Двор. Грам.). აი ასე სინდისიერად ეპყრობიან ჩვენ ისტორიულ საბუთებს!

რაკი შეცდომა გავასწორეთ და სადაო საკითხი საბოლოოთ გამოვარკვიეთ, ახლა მოვიყვანთ, რამოდენსამე ცნობას კათალიკოს მაქსიმეს ცხოვრებიდან, რადგან ეს ცნობები სხვებს არ მოჰყავთ.

1759 წელს ქუთაისში მეფე სოლომონ დიდის ბრძანებით და ბესარიონ კათალიკოსის თავმჯდომარეობით მოხდა საეკლესიო კრება, რომელმაც აღადგინა გაუქმებული ქუთაისის სამიტროპოლიტო კათედრა და მაქსიმე დასვა ქუთათლად. მიტროპოლიტობაში შეხვდა მაქსიმეს (1768 წ.) რუსეთში წასვლა ელჩად. რუსის მეფემ მაქსიმე დიდი სიხარულით და პატივით მიიღო. „Пріѣздъ сего митрополита, ѕкитѣулоѡбѡ сабѹтебѣ, весьма къ стати и времяни" (Ц. Г. 141; А. Цагарели: Грамоты. В. I. стр. 19; Бутковъ: Матеріалы для новой исторіи Кавказа I. 454-454; მ. ონა: მიმოხილვა, გვ. 39).

როცა იოსებ კათალიკოსი, ძმა სოლომონ დიდისა, გარდაიცვალა 1776 წ., მის ადგილზე აირჩიეს ქუთათელი მაქსიმე. კათალიკოსობდა მეორედ რუსეთში წასვლამდი (1784 წ.). მაქსიმე ნამდვილი

მამა იყო ერისა, კაცი მხნე და განსწავლული, სიმართლის მოყვარე და გაბედული. საეკლესიო საქმეების არევის გამო მეფეებმა ბიჭვინტის მამულების მმართველად, კანონის და ჩვეულების წინააღმდეგ, თავისი მოურავები დააყენეს. მაქსიმემ ეს ჩვეულება მოაშლეევინა მეფეს. სოლომონ I და, მისი მეუღლე მარიამი და ძე მათი ალექსანდრე 1776 წელს აძლევენ მაქსიმეს ღრამატას, რომ ამიერიდან აღარ გავერევი საეკლესიო საქმეებში (II. Гудж. 151—152); მაქსიმე მაცადინობს ეკლესიის ნივთიერად უზრუნველ-ყოფისათვის, თვითონაც სწირავს ქონებას და გლეხებს, სხვებსაც აწირვინებს. (ibid 153; Опис. груз. ц. гудж. въ Имер. Ен. Канц. 1780 г.). ებრძვის თავგასულ გურიელებს მაგ. გიორგის და თავად თავდგირიძეებს და აიძულებს წართმეული მამულები და ყმები დაუბრუნონ ეკლესიებს. ამ დროს დასავლეთ საქართველოში ძლიერ ფეხ-მოკიდებული იყო ერთი საზიზღარი ჩვეულება — ტყვეების და მონების გაყიდვა თათრებზე. (იხ. Бѣлокуровъ, Матер. для рус. исторіи). ნამეტანი მადა-გახსნილი იყო ამაზე გურიელი გიორგი. მაქსიმემ კრება მოახდინა და გურიელი შეაჩვენა, პირობაც დაადებინა, რომ ამ საძაგლობას მოსპობს. ამ დადგენილობაზე ხელს აწერენ: ეპისკოპოსები გაენათისა ექვთიმე, შემოქმედელი იოსები და ნინოწმიდელი იოანნე (II. Гудж. 152). ასეთივე დღე დააყენა მერაბ ლოტოქიფანიძესაც იმავე საქციელისათვის (ib 153) და მამუკა გურიელს (Опис. ц. грам. въ Имер. Ен. Канц. за 1777 г.).

1784 წელს მოკვდა სოლომონ დიდი, ტახტზე ავიდა მისი ბიძის შვილი, დავით გიორგისძე. ამან გაგზავნა რუსეთში მაქსიმე და ზურაბ წერეთელი შემწეობის სათხოვნელად. მოზდოკში მაქსიმე უქეიფოდ შეიქნა, უკან დაბრუნება ველარ შესძლო და რუსის მთავრობამ ნება დართო რუსეთში „საუკუნოდ დარჩენისა“ (Бутловъ III, 204; Арх. Св. Синода 1784 г. № 305; იონა მიტროპოლიტი, 140).

1785 წელს მაქსიმეს მოსკოვში ვხედავთ. აქ მან მიიღო ნება „მსახურობისა და ტიტულის ტარებისა“ („у-д сѣмлѣдѣлом каѳалікосіи имеретіи“). მიტრაც მისცეს ჯვრით დაგვირგვინებული (იონა, 140).

მაქსიმემ იერუსალიმის ხილვა განიზრახა. 1791 ასტრახანში მოვიდა, აქედან კიევით უხდა გამგზავრებულიყო იერუსალიმში. კიევში სნეულობამ უმატა და იქვე დარჩა სიკვდილამდი. 1793 წელს მას გამოუარა გზად ეგვიპტიდან და რომიდან მიტრ. იონა მროველმა (რუსელ—მროველი) გედევანიშვილმა, რითაც დიდად განიხარა უძლურმა მაქსიმემ.

სიკვდილის წინ მაქსიმემ დაიბარა დაემარხათ ის არა ეკლესიაში, არამედ გარეთ კედელთან, სამხრეთით, მისი მიტრა და პანაგია ბიჭვინტაში გაეგზავნათ, რადგან ამ მონასტრის საფასით ჰქონდა გაკეთებული; ბიჭვინტაშივე უნდა გაეგზავნათ ბარტყულა დიდი და პატარა ჯვრით. სხვა ნივთები დაუტოვა თავისსავე ღვიძლ ძმას ილუმენ ანტონს, რომელიც თან ახლდა.

კიევის ლავრის სალაროში ახლაც ინახება მაქსიმეს ნაჰქონი ნივთები: ოდიკი ქართული (ხუცური) წარწერით, მიტრა ჯვრით, პანაღია და კვერთხი.

მაშასადამე, მაქსიმეს ანდერძი არ შეუსრულებიათ და ბიჭვინტისთვის არ გადაუცია მისი მიტრა და პანაღია.

მღ. მ. კელენჯერიძე.

უძღები შვილი.

ნათარგმნი*).

I.

ეს იყო ბალების ხევის დასწვრივ,—იქ, სადაც არე-მარეს ფიფქი თოვლის ნაზი ზეწარი გადაჰფარებოდა, თითქოს ტრედის გულზე ამოსული ფაფუკი ღინღლიაო. სოლომონის ჯურღმულთ თავიანთი სევდიანი, დაბნედილი თვალები ზეცისთვის მიეპყროთ და იქ, სივრცეში დაბნეულიყვნენ. მოელვარე ვარსკვლავთ კორცხლები და გაბადრული მთვარე კი ერთს კუნჭულში მიკუნტულიყვენ განმარტოებით. წყლით აბიბინებული მდინარენი, ნაპირებიდან გადმოსულნი, თეთრ მოელვარე მდელოზე ვეელივით მიიკლაკნებოდენ და კიდეებზე უხვად ოწყავდენ მობიბინე, ამ მიძინებულ ზამთრის დროსაც კი, ამწვანებულ ბალახებს.

მწუხარე მწყემსი კი ხევის თავზე მიდიოდა. იმ ადგილებში შავ კლდეთა სავარცხლები დედა-მიწის გულს არშიათ შემორტყმოდენ და დაეკემსათ, იქ მეფობდა უდაბნოს დუმილი, მწვავე სიცივე იყო და გულს სწყლავდა.

მისი ცხვრის ფარა უთავბოლოთ დაბოლიარობდა და, ცუდი ტაროსისა გამო ქანც-გამოლეული ცხვრები ძლივსღა მილასლასობდნენ, თავები ძირს დაეხარათ და დაბარბაცობდნენ იქით-აქეთ, თითქო დახრაკული საძოვრიდან მონავალნი არიანო. შავ-შავი, კიკინებიანი თიკნები კლდეებზე დახტოდნენ, მოუთმენლად და გაუმაძღრად დაბალი მუხებისა და გარეული ზეთისხილის ტოტებს და ფოთლებს სწიწკნიდენ. აბობღდებოდენ ხეებზე, ხტუნავდენ და გადმოეკიდებოდენ გამხმარ როკებზე.

ის კი დაღვრემილი მიდიოდა და ცხვრის ფარას აგრე რიგად ყურადღებას არ აქცევდა.

მსუსხავი ქარიშხალი ქაცვისაგან დაკუწულს და გზაში ტალახისაგან ამოთითხნილ ტირილის გძელ ბისონისაგან შეკერილ ქულაჯას განუწყვეტლად უბეროვდა. ჩაქსოვილის აბრეშუმისაგან შეკერილი თექა მთლიად ერთიანად დაკონკილიყო, ტყავის სარტყელს კი შემოძარცოდა ვეცხლის და, ვინ იცის, ოქროს ძვირფას ქვებიანი სამკაულნი.

მისი ხუჭუჭა თმა უთიერ-მათიერ ჩამოჩეჩილიყო და აქა-იქ ძაფებივით ჩაბალახ ქვეშ ჩამოკიდებოდა; ძვირფას ყვითელი ტყავისაგან შეკერილი ფეხსაცმელები გასცვეთოდა გზაში სიარულით. სიცხისაგან დამწვარ ხელის თითებზე თეთრი ზოლები ემჩნეოდა; შეატყობდა კაცი ოდესმე თითებზე ბეჭდები სცმიაო. გრძელი დაკორხლილი ჯოხის, ანუ მძიმე მწყემსის კომბლის მაგივრად, დახარვეზებული, მურტის ხისაგან გამოჭრილი წვრილი ჯოხი ეკავა ხელში, მას ჯავარი ალარ ეტყობოდა.

მწუხარე მწყემსს, სჩანდა, გადაეტანა ის დრო, როდესაც დაკონკილი სამოსლის ჩაცმა ყველას სასირცხვოდ მიაჩნია.

მისი ახალგაზრდა სახეც ტანისამოსივით გაცრეცილი და გაცამტვერებული იყო. უდაბნოს არე-მარეზე მიმობნეული მთვარის საუცხოვო შუქი მისთვის ისე არაფერს ნიშნავდა, როგორც მისგან განვლილი გზის სიძნელე. ის მაგრად გამოხვეულიყო თავის დაკონკილ თექაში და მიეშურებოდა წინ; ხანდისხან თუ დაიხედავდა თავ დავიწყებით ძირს.

მთის საშვავედან ბილიკი წისქვილის არხზე მიჰყვებოდა და გაივლიდა კლდის ძირას; ამ ადგილას, უეცრად გამოვარდა სამი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული კაცი და ეცნენ საბრალო მწყემსს. მან ერთი კი ასწია მაღლა კომბალი იმათ მოსაგერებლად, მაგრამ მერმე წყნარად ძირს დაუშვა და მწარე ღიმილისაგან სახე დაელრიჯა, როდესაც ყაჩაღებმა სტაცეს ხელი მას და დაანარცხეს მიწაზე...

— უბედურებო! —უთხრა მან,—ჩქარა მითხარით, რა გინდათ ჩემგან და წაიღეთ, რაც მაბადია, ღვთის გულისთვის ნუ მტანჯავთ.

— ფული ჩქარა, შე ქოფაკო,—დაილრიალეს მათ ბოროტად.—მოიტა ჩქარა შენი ოქროს ყელსაკიდი, იროდის ძაღლო! ჩქარა, თორემ გაგათავებთ ეს არის...

მით უკეთესი, რაც ჩქარა იქნება.

*) [illegible] Юная Россія № 1 1913 წ.

მიუგო მან და თვალებზე ხელი მიიფარა.

შეშინებული ფარა ერთად შეჯგუფდა და უყურებდა, თუ როგორ სწვდენ ყაჩაღები მათ პატრონს.

— სჩანს, მაწანწალა ძაღლია, ვიღაც ოხერი,—სთქვა ერთმა ყაჩაღთაგანმა. — არა გააჩნია რა. რაც მას აბადია, მით ერთ ულაპ ლვინოსაც ვერ ვიყიდით. მოდი, მოვკლათ და გადაუგდოთ ყვავ-ყორნებს საჯიჯგნელად?!

— რისი გულისთვის უნდა დავაძლოთ წყეული ყვავ-ყორანი მაგის ლეშით?—წარმოსთქვა მეორემ.—კისერი მაგასაც მოსტეხია!.. წავართვათ თექა და გავირეკოთ ფარა; დეე თავის დროზე ჩაძაღლდეს!

ერთი კარგა ლაზათიანად შეუკურთხეს, ჩასწიხლეს ერთჯერ-ორჯერ და გაუდგენ გზას. მან თვალები გამოახილა, რამდენიმე ხანს კიდევ უძრავად ეგდო მიწაზე და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰყურებდა. იმავე მწარე ღიმილს დაელმიჯა მისი სახე.

— გველივით არ შემომესიეთ!—სთქვა მან. მე კი ვფიქრობდი, რომ სასურველ დასასრულს თქვენგან მივიღებდი... მაგრამ ვერც ამას ველირსე უსასყიდლოთ, მუქთათ... ყველაფერში გასამრჯელო უნდა გადამხდეს...

— შორიდან ხან ხმა მაღალი და ხან ხმა დაბალი შეშინებული ფარის ხმა მოესმა, ისმოდა აგრეთვე ყაჩაღების ყიჟინი. ისინი დარბოდენ ფარის გარშემო და სცდილობდენ მთას გადაღმა გადაერეკათ ცხვარი. მწყემსი ზეზე წამოდგა, იღლიაში თექიდან სალამური გამოიღო,—უბრალო ლერწმისაგან გამოჭრილი,—და დაუკრა ზედ მოკლე მწყემსის სიმღერა, მოქვითინე, გულშემზარავი. იმ სიმღერაში, გეგონებოდათ, არც თავია და არც ბოლოვო; ამ სიმღერიდან გამოდიოდა, თითქოს მწყემსი ვილაცას ეუდრება რაღაცაზე,—თითქოს დიდი ხნის დაკარგულს ეძებსო.

დაუკრა თუ არა სალამური, თხა-ცხვარი შემოეცალა მყისვე თავიანთ გამტაცებლებს დაფეთებულნი და გაიფანტა იქითა-აქეთ; ცხვრებმა შემოტრაბინეს მათ გარშემო ბილიკებიდან, ჩაიმალენ დაფნის ბუჩქებში და გადაკოკდენ კლდეებზე... ყოველი კუთხიდან მიირბინეს თავიანთ პატრონთან; ის კი დრო და დრო გამოიღებდა პირიდან სალამურს, რომ თვითეულისთვის სახელი დაეძახა და მოალერსებოდა.

როდესაც, დაბოლოს, ფარამ თავი მოიყარა, მწყემსი საჩქაროთ დაექანა ქვეითი ხევისაკენ და დაქანცული ფარაც უკან გამოედევნა.

ბილიკის ერთს მოსახვევში, რომელიც ხევში ჩადიოდა, მწყემსს წამოეწია ერთი ჩამორჩენილი ცხვარი. მწყემსმა მაღლა აიხედა და დაინახა ცხვარი მთის წვერზე. დაფეთებული ცხოველი წინდაუხედავათ გადმოხტა კლდიდან და ბრაგვანი მოადინა უშველებელ ხრამში, ბილიკს ქვემოთ.

— ჩერჩეტო!—სთქვა დამწუხრებულმა მწყესმა.—ბუდას ალბად არ გაუწირვიხარ კიდევ შენ... რა?.. ბღავი და შემწეობას თხოულობ, ვერ დაახწიე თავი მახეს? სხვა რაღა დამრჩენია, უნდა გადმოვხტე შენსკენ, მე ჩერჩეტო... მისთვის, რომ მე შენზე უფრო ჩერჩეტი და გამოყეყეჩებული ვარ...

ფათერაკს აღარ მოერიდა მწყემსი და სწრაფად გადაეშვა ხევში. იქ ეგდო ფეხ-მოტეხილი, გასისხლიანებული თიკანი. მწყემსს თექა აღარ ჰქონდა; მოიხსნა თავზე ჩაბალახი, გაშალა და შეახვია შიგ ათრთოლებული ცხოველი. შემდეგ ამობობღდა ბილიკზე და საჩქაროთ წაასხა ქვემოთ ფარა, გადარჩენილი კი თიკანი ატატებული მიჰყავდა.

ის გაჩქარებული მიდიოდა და, ერთი შეხედვით, გეგონებოდათ სრულიად არ ჰფიქრობდა იმაზე, თუ საითკენ მიდიოდა. შედგა თუ არა წისქვილის არხის ნაპირზე, ის შეჩერდა გზა-ჯვარედინზე და დიდ ხანს იცქირებოდა წინ ანგარიშ მიუცემლად. ვერ აერჩია, რომელი კუთხისაკენ წასულიყო და ერთს ადგილას ისე გაშეშებულიყო, თითქო მიჯაჭულიაო. მისი გონების სასწორი თანაბრად იდგა, რადგან არაფერი იყო მათზე. მას შეეძლო მოძრაობა, შეეძლო წასვლა, რადგან ძალა

ჯერ კიდევ არ გამოლეოდა, მაგრამ ვერ აერჩია, საითკენ წასულიყო.

მარცხნივ გზა ზემოთ მიდიოდა, დაბა ბეთლემისაკენ; ამ ქალაქში ერთად შეჯგუფებულიყვნენ ბანებიანი და ზღუდეებიანი სახლები, ასე რომ აქედამ ქვითკირის ორ გუმბათიანი ტაძრის ნაწილი აღარც კი სჩანდა. რაღაც ბნელად და უხეიროდ გამოიყურებოდა ეს ქალაქი, თითქო კარ-ჩაკეტილი ციხე-კოშკიაო.

მარჯვნივ იყო მიხვეულ-მოხვეული ბილიკი მეწამული ზღვის დასწვრივ... იმ ადგილიდან, სადაც მწყემსი იდგა, ორი-სამი ვერსის მანძილის მოშორებით, თეთრად მოსჩანდა ხევის გზა, რომელიც გადაკიბულ-გადმოკიბულად ზევით ცხვირ წაწვდენილ მთაზე ადიოდა. მთის წვერზე, თითქო წაჭრილიაო, გვირგვინივით წამოდგმულიყო მარმარილოს სასახლე რგვალ-რგვალი კოშკებით შემოზღუდული და მათ გარშემო ცეცხლის ალს გაჰქონდა ბრიალი. დიდებული ცეცხლის ალი, რომელიც სრა-სასახლეში ენთო, თვალს იტყუებდა, თითქოს უდროვო დროს აღმოსავლეთი ალიონს ცეცხლისფრად შეუღებავსო.

ეს იყო მეფე იროდეს საყვარელი, მიუდგომელი თავშესაფარი, აი აქ იკლავდა იგი საიდუმლოდ ჟინს და სიამოვნებას ეძლეოდა.

ამ სრა-სასახლეს იგი „პატარა სამოთხეს“ უწოდებდა. იგი შემოზღუდული იყო მაღალი კედლებით. იქ იყო საუცხოვო ბაღები და ცივი წყალი რომელიც სოლომონის ჯურღმულებიდან შადრევანივით გადმოქუხდა.

იქ—ხენი ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა ერთი მხრიდან ისხამდენ სისხლივით წითელს ნაყოფს და მეორედან — თოვლივით თეთრს.

დამწუხრებულმა მწყემსმა იცოდა და აგონდებოდა ყოველივე ეს. სრა-სასახლის შეხედულება გორედამ სწვავდა მას. არც მარჯვნივ მიუხარია, არც მარცხნივ, ის უგზოდ პირდაპირ წავიდა, ბეთლემის ბორცვზე, რომელსაც თოვლის ზეწარი გადაფარებოდა...

დაუსრულებელს მარტოობას გაეყინა მისი გული და ამ გულზე მიეკრა დასახიჩრებული თიკანი... უკვირდა მას თვისი უგნურება; რათ სცდილობდა ამ არავისთვის გამოსადეგი სიცოცხლის ნაპერწკალი არ ჩაექრო?..

იმ დროს, როდესაც ადამიანმა არ იცის და არც ზრუნავს იმაზე, თუ საითკენ მიდის, რადგან წინ-წინ აბიჯებს, — მაინც გზას იკვლევს. ერთი საათის შემდეგ და, შესაძლოა მეტიც გავიდა, ამ ბორცვზე მწყემსი წააწყდა ცხვრის ფარეხს, რომელიც ლურჯი ქვისაგან იყო აშენებული. ერთი კედლის კუთხისაკენ, როგორც მიღებულია, კოშკი იყო წამოდგმული. ფარეხი ცხვრებით გატენილი იყო და კოშკის კედლის ძირას ცეცხლი იყო გაჩაღებული, მის გარშემო ისხდა ოთხი მწყემსი შეხვეულნი სქელ ტყაპუჭებში.

— მშვიდობა შენდა, — უთხრა მოსულს უნცროსმა მწყემსმა, — იკურთხოს შენი დედმამა.

— გაიხარეთ გულით, — მიუგო დაღონებულმა მწყემსმა. — კურთხევამან მამისამან დაამტკიცოს სახელი თქვენი უმეტესად, ვიდრე ჩემი. მე სახლ-კარი არ გამაჩნია...

— ის ადამიანი, რომელსაც არც კერა, არც თვისნი და ტომნი არ გააჩნია, ან მოყვასისაგანაა გაძარცული, ანუ ღვთისაგან დასჯილი, — წარმოსთქვა მოხუცმა მწყემსმა. — შენ სიტყვაზე გეტყობა გალილეველი ხარ. საითკენ მიემგზავრები და ან აქ რა გინდა?

— ჩემო ბატონო, მე არსად არ მივდივარ... მაგრამ გზად შემცივდა და ჩემი ფეხები თქვენი კერისაკენ წამოეთრენ.

— გამოიწიე აქეთ და, თუ შენი ჩვენთან მოსვლა სამშვიდობოა, გაითბე ფეხები. საითბო უხვია: რამდენმა კაცმაც არ უნდა გაინაწილოს მაინც არა დააკლდება რა... მიიღე ჩვენგან პურ-მარილი თუ გესაჭიროება.

ამ ნაირად ახლა ცეცხლთან ხუთი კაცი ისხდა მწუხარე მწყემსი ინაყრებოდა თავის მთის პურით, თუმცა ზომიერად, ისე კი არა რომ სდომოდეს ჭამა, არამედ საჭიროების გამო. მასპინძლები ცოტა ხანს ყუჩდენ, რადგან მართებულობა მოითხოვდა ცოტა ხნით სიჩუმეს. მერმე უფროსმა მწყემსმა წაილაპარაკა:

— სახელად მე მეწოდება სადოკი, ძე ელიეზარისა ბეთლეემიდან. ამ ტაძრის ფარის მწყემსთა შორის მე უხუცესი ვარ. ესენი არიან ჩემი დისწულები: იათან, შამა და ნათანი... მამა მაგათი, ელჰანი გარდაიცვალა; ესენი რომ არ ყოფილიყვნენ, მე უშვილ-ძიროდ გადავიდოდი...

— მე კი მქვია... სახელად ამიელი... მე ვარ ამიელი იოჰანის ძე, ქალაქ ბითსაიდიდან, რომელიც გალილეის ტბის კიდეზეა... მამა არა მყავს...

— უშვილო კაცი სჯობია უმამოსა,— სთქვა მოხუცმა სადოკმა. მაგრამ ღვთის ნებაც ასეთია, რომ მამას შვილის ხელით დაეყაროს მიწა... დიდი ხანია. რაც ცხონებული იოჰანი გარდაიცვალა?

— არ ვიცი, ცოცხალია, თუ მკვდარი. სამი წელიწადია, რაც ჩემს თვალებს მისი სახე არ უნახავსთ და ჩემს ყურებს ხმა მისი არ სმენიათ.

— მაშასადამე შენ განტევებული ყოფილხარ? განგიტევა განა მან სახლიდან?

— არა... ეს სხვანაირად მოხდა,—მიუგო ამიელმა და თვალები ძირს დააშტერა.

— ესეც შესაძლებელია, როგორ არა, შესაძლებელია... ჩაფიქრებით დაეთანხმა მოხუცი სადოკი.—მოძღვარნი ჩვენნი ამბობენ: არის ჩვენი წინაპრების ჩვეულება ისეთივე შეურყეველი, როგორიც თვით რჯულია: ადამიანს შეუძლია უარჰყოს მამა შეუცოდებელადაც. გარეკვის მამას: „კორბან! მე უფალს შეუდეგით!" და მამას მაზე არავითარი უფლება არ აქვს, შვილიც მამას აღარ ემორჩილება. სჩანს, შენ მამა, შენს უთხარი: „კორბან", ამიელ-ბენ იოჰანის ძევ? სჩანს, ღმერთს შეუდეგ?

— ღიახ, მე ვსთქვი: „კორბან"—მიუგო ამიელმა, თავი მაღლი ასწია, სახე ისეთივე რიღაც ნაირის სევდიანი ლიმილისაგან დაღმეჭოდა.—ვსთქვი: „კორბან", მაგრამ ჩემი აღთქმა ღმერთს არ სმენია.

— მაშ გვიამბე, რისი მაქნისი ხარ? ჩაიღაპარაკა სასტიკად სადოკმა.—არცა გინკიცხავ, არცა თავ-შესაფარის მიცემა ჩვენ არ ძალგვიძს, სანამ შენს თავგადასავალს არ გავიგებთ.

— ამაო ამაოთა, ყოველივე ამაო არს. სახელი მისი არარაობა... რაღა გასაგონებელია... მაგრამ რადგანაც მოგისურვებიათ მოსმენა, ისმინეთ. მერმე, როგორც გსურდეთ, ისე მომექეცით,—უსულ-გულოთ სთქვა ამიელმა.

კოტე გძელი.

(შემდეგი იქნება)

ერთი კვირე ჯრუჭის მონასტერში.

1910 წელში მე და ქუთაისის ოლქის სამსაჯულოს საჩხერის სესიას უთანხმოება შეგვიდგა ერთ დიდ საქმეზე, რომელიც სარწმუნოებას შეეხებოდა. ბეჭდვითი სიტყვით შეურაცხყოფის მიყენებისათვის ხსენებულ სამსაჯულოსადმი, თფილისის პალატამ ერთი კვირე მონასტერი მომისაჯა და, ეს სასჯელი ჯრუჭის მონასტერში მოვიხადე გასულ თებერვლის თვეში. მაგრამ უკეთესი მოგცეს ღმერთმა, მკითხველო, რაც მე იქ ვნახე და მოვისმინე!

რაჭის ეპისკოპოსის კახაბერის რატის მიერ დაარსებული მონასტერი და მერე დავით მიტროპოლიტის მიერ გამშენებული (წერეთლის), რომლის ერთ-ერთ კედელს მიაწერია: „მონასტერი ქალაქ ვყავო", დღეს ძველი ჯრუჭის აჩრდილს არ წარმოადგენს.

ეს დიდებული ძველი ქრისტიანული ნაშთი, სადაც აღიზარდენ განსვენებულნი: მიტროპოლიტი დავით, მთელი შორაპნის მაზრის ბლაგოჩინი ოქროპირ, ითხვისის დეკანოზი დავით-წერეთლები; და იმერეთის ეპისკოპოსი ექვთიმე და არქიმანდრიტები სიმონ, და ნიკოლოზ წულუკიძეები და „სხვანი მრავალნი გაბრძენილნი მწყალობარნი და მგალობელნი, დღეს ეგეთია და მაკონარეთა ბუნაგად გადაქცეულა. იქ, სადაც ანგელოზებრივი, ტკბილხმოვანი ღაღადისი გალობა-კარნახით გაისმოდა, დღეს ერთი ბორჩილის უხვირო გალობა ესერავს გრძნობა-სმენას: კაცს, არც მღვდელმონახენებში და არც სხვა დაბალ ეკლესიებში, ორიოდეს გარდა, არ მოიძებნება ისეთი პირი, ოთმ ხელიანთ დავითნი წაიკითხოს. მთელს ჩემს იმერეთში და რაჭაში რაც კარგი მწიგნობრები და მგალობელნი იყ-

ვნენ ძველათ, ჯრუჭში მიიღეს სწავლა-განათლება. მოკელ ზეპირმა (ეიტინაძემ), რომელიც ერეკლე მეფემ მთელ თფილისათ დაიფასა, თურმე აქ მიიღო სწავლა-განათლება. მაგრამ კმარა ამაზე.

1860 წელში ჯრუჭს ყავდა 60-ზე მეტი ფაშატი ცხენი, ამოდენა ხარი და ძროხა და წვრილ ფეხს თურმე ხომ ანგარიში არ ქონდა. 500 მეტი გლეხი ყავდა. ქონდა მთა და ბარი და სხვადასხვა სიმდიდრე. მაგრამ დღეს მეათედიც აღარაფერი აქვს. გლეხები მთა და სხვა დიდ ძალი სახნავ-სათესი თავადმა წვრილთლებმა ჩამოართვეს, ხოლო სხვადასხვა სიმდიდრე ყოფილმა წინამძღვრებმა გაანადგურეს სისტემატიურათ. დაბით მიტროპოლიტის შემდეგ წინამძღვრები და მღვდელ-მონაზონები აქ მიტომ კი არ მოდიოდნენ, რომ მონასტერი შეემკოთ, არამედ მეტს გამორჩენოდენ მას და თავისი ნათესავები გაემდიდრებინათ; ერთ წინამძღვარს 8000 მანეთი დარჩენოდა სიკვდილის შემდეგ.

შეიძლება თუ არა ამ მონასტრის ხელ-ახლად აღდგენა?

ადგილათ და აი როგორ: მონასტერს აქვს კიდე კარგა მოზრდილი მთა, ტყე, მინდორი და სახნავი ადგილი. 4000 მანეთამდი უულათ შემოსავალი ყოველწლიურათ, წისქვილი და სხვა. ენერგიით, პატიოსნებით, ღრმა სარწმუნოებით, სასოებით და ცოდნით აღჭურვილ წინამძღვარს შეუძლია ჯრუჭი პირველ ხარისხოვან მონასტრათ გადააქციოს ყოველის მხრით. რომ მონასტრის შემოსავალს კარგათ გაუძღვეს კაცი, ათი წლის შემდეგ ეს მონასტერი ძველ დიდებას მოიხვეჭს, როგორც ნიეთიერათ, ისე ზნეობა-გონებით. მაგრამ ჩვენ, ქართველებს გვაქვს ამის უნარი?! აქ ისეთი ნიადაგია, რომ რა არ იყვრგებს: ვენახი, ზეთის ხილის ტყე, სხვადასხვა ბალეულობა და ფუტკარი. სხვაგან მის მიდამოებში, რომ თოვლი ძევს აქ ნიადაგ ზომიერი ჰაერია. ჩვენ ყოველთვის სიზარმაცე, უსოდინარობა და დაუდეგრობა გვიშლის ხელს.

ოფსის ბერები უდაბურ ტყეში ისეთ მონასტრებს აშენებენ სხვადასხვა ადგილზე. რომ მათი ნაბეთი გაანაცვლდება კაცი და ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება?!

დღეს მონასტრის ბერებსა და ახალ წინამძღვარს შორის დიდი უთანხმოება და შფოთია. რით დამთავრდება ,ღმერთმა უწყის! სამწუხაროდ ჩემმა, ჩემს იქ ყოფნაში მამა წინამძღვარი არ იმყოფებოდა მონასტერში, ითოეულ უთანხმოების მიზეზს შეეტიტყობდი და ჩემ ახლა გამოვსთქვამდი. ღმერთმა ქნას მათ შორის შეიკიდობის ანგელოზს ჩამოეფრინოს ადგილმბრეი სიხოგადოებ ამ უთანხმოებით ფრდათ გეგლინარეკსა.

ჩემი მისვლის წინ სტუდენტი ინგოროყვა ყოფილიყო მონასტერში, რომელსაც ერთ კვირეზე მეტი ემუშავნა და მრავალი მონასტრის სიძველე და წარწერანი გამოეკვლია, მაგრამ, როგორც მითხრეს მონასტრის ბერებმა, მას ვერ ნაეკითხავს ორი წარწერა: ერთი დასავლეთის კარებთან, მეორეც ტრაპეზის ხელსაბან ქვეშ, რაიცა ყველა წარწერებზე უფრო დიდ მნიშვნელოვანია*).

დეკანოზი ი. ზერეთელი.

ისტორიული ნაშთები გურიაში.

ჩვენი ისტორიული ნაშთები, ვინ არ იცის, მრავალთ მოიპოვებიან აქა-იქ მიფარდნილ მთა-ტყეებში, რომლისათვისაც დღემდე ყურადღება არავის მიუქცევია. ერთი ასეთი ნაეკლესიარი აღმოჩნდა ჩოლოქის მიდამოში ს. თედორეთში (გურიაში). როგორც დღესაც მოწმობს მრავალი დიდი და ძვირფასი ქვები ნანგრევებისა, ერთ დღეს კარგათ მოზრდილი და მდიდარი ეკლესია ყოფილა აქ გარშემო კოპწია სოფლებით. აგრეთვე არის ზეპირგადმოცემები, რომ აქ სვენებულა წმიდა თედორე და წმიდა გიორგის ხატები, რომლებთა სიძლიერეზე დღესაც მრავალი ამბებია დარჩენილი ხალხში. ამ ქამთა ვითარებისაგან მივიწყებულ და გაფერანებულ ადგილს ამ ცამეტი წლის წინათ შეეხიზნია სიხმრის შთაგონებით (როგორც ის ამბობს) სიყრმიდგანვე ბერი, წოდებული სიმონ ინწკირველათ, რომელსაც ხაზინის წარმომადგენელის ნებით (რომლის ხელში მაშინ ეს მიწები იყო) თავის საკუთარი ხელით გაუკაფავს ეს ულრანი ტყე და ბარდ-ეკალი, მოუღობავს ფაცხა და დაუწყია საკუთარი შრომით უმწიკვლო ცხოვრება, რომელიც ყოველ დარიან დღეში გულმოდგინეთ ლოკულობს ძველი ნაშთის ტრაპეზის წინაშე, ხოლო აღდგომაში კი თავის ფაცხაში, სადაც ხანდახან სხვა მართლმორწმუნეებიც ესწრებიან ლოცვაზე. მაგრამ სამწუხაროდ რაოდენიმე წელია, რაც ეს მიწები მოიგო თავადმა ნესტორ ნაკაშიძემ,

*) კარგი იქნება მ. დეკანოზი გამოიკვლევდეს ამ წარწერების მნიშვნელობა „შინ. საქ.“ გამოსაცემად. საოცარია ახალგაზრა ეკლესიის შეტეკის მიმიზეზეობა.

რომლის მემკვიდრეები ყოველ ღონეს ღონობენ გადადგენონ ხსენებული ბერი ამ ადგილიდან და თვისი ამდენის ხნის ნაშრომიც დაატოვებიონ. ეს თუ არა, მოსალოდნელი იყო ამ ადგილზე, როგორც ეკლესია, თვით სოფელიც გაშენებულიყო. სადაც რაოდენიმე მეგრელები და სხვებიც ჩასახლდენ. აქ საუკეთესო სამოსახლო ადგილებიც მოიპოება, როგორც მშვენიერი წყლითა და ჰაერით, აგრეთვე მდებარეობითა და ბუნების სიუხვით. და რომ აქ ყოველ სამეურნეო წარმოებას შეიგუებს ნიადაგი. ეს თვით ხსენებულმა ბერმა უკვე დაამტკიცა. დროა ასეთ ადგილებს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, როგორც საზოგადოებისაგან, უმეტეს სასულიერო მთავრობისაგან და ისტორიის მკვლევარებისაგანაც.

ვ3.

მოწერილი ამბები.

სადგური ძირულა. ამა წლის 23 იანვარი საზსოვოთ ფარება ძირულაში მოვაპრეთა და მის ახლომახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთათვის. ამ დღეს დანიშნული იყო ადგილობრივი ორკლასიანი სამრეველო სკოლის შენობის კურთხევა. შენობა ხის არის და შესდგება ორი ერთული საკლასო ხალისა და ოთხი ოთახისაგან მასწავლებლებისათვის. ის აუშენებია იმავე სკოლის მზრუნველს მეთოდე ვ. ქათამაძეს. სამოსწავლო მთავრობას ბ. ქათამაძისთვის ამ შენობისთვის დაუხმარებია სკოლის ძველი შენობა და მიუცია ადრეც ფულათ 600 მან., ხოლო კურთხევის დღეს ადგილობრივი საზოგადოებიდან მიიღო 300 მ. და 700 მანეთიც ამ წლის 1 ეკენისთვისთვეს უნდა მიიღოს. ძველი შენობა რომ 400 მანეთად შეინც ვიანგარიშოთ, ბ. ქათამაძეს შენობის დასათ 2000 მანეთი მოუდის. შენობა მოსაწონია და კიდეც შეეფერება თავის დანიშნულებას. წინადღითვე მობრძანდენ საეპარქიო მეთვალყურე ბ-ნი ე. ი. ავერკიევი და სამაზრო მღ. მ. ოდიან გეელესიანი, ხოლო 23 იანვარს, დილის 5 საათზე, თბილისიდან ჩამობრძანდა საექსარხოსოს სკოლების მეთვალყურე დეკ. მ. ალექსეევი. მ. დეკანოზმა სასიამოვნო ამბავი ჩამოიტანა თბილისიდან და იქვე მისალმების შემდეგ მოგვახსენა ჯველა, რომ ამისმა ბ. ავერკიევის მოხსენებამ გასჭრა და სინთდმა დეპეშით ასნობა საექსარხოსოს სკოლების უფროსობა და მასრეფუალამგირიან (360 მ. ნაკლები) მასწავლებლებს წასულ 1912 წელში დასაკმაყოფილებლათ 14000 მანეთის გადადება, რომელი ფულიც მოკლე დროში მიეცემათ მასწავლებლებს.

დილის 11 საათზე მეთვალყურეები და სხვა მიპატიჟებული სტუმრები შეიკრიბენ სკოლის დარბაზში, სადაც ადგილობრივმა ბლად. მღ. მ. სუსია შვილმა აკურთხა ახალი შკოლის შენობა. მ. დეკანოზმა გრძნობით სავსე სიტყვით მიმართა საზოგადოებას და განუმარტა დიდი მნიშვნელობა საზოგადოთ სკოლისა და კერძოთ საეკლესიო სკოლისა. სკოლის შენობის კურთხევის შემდეგ ბ. და მ. მეთვალყურეები და ოცამდი სხვა საპატიო პირი სადილათ მიიპატიჟა სკოლის მზრუნველმა ბ. ქათამაძემ. სადილზე ბევრი სიტყვა ითქვა. საღამოს 4½ საათზე მ. ოლქის მეთვალყურე თბილისში დაბრუნდა და ბ-ნი ავერკიევი კი ქ. ქუთაისში.

დამსწრე.

სოფ. გეთსამანია (შორ. მაზრ.) გეთსამანის ღვთის მშობლის ეკლესია მდებარეობს ზემო იმერეთში სამხრეთ აღმოსავლეთისკენ, სურამის მთის ძირის მახლობლად, რომელიც ყოფს ამერეთ იმერეთს და საყვარლათ დაჰყურებს ეკლესიას—თვით ეკლესია და ის სოფელიც, სადაც ეს ეკლესია მდებარეობს, გეთსამანიად იწოდება. აქ, ამ სოფელში მცხოვრები 70 კომლამდის ირიცხება. მცხოვრებნი ამა სოფლისა საშინელი სათნო, ღვთის მოყვარე და მლოცველია; სადაც დღეშიც რომ სწიროს მღვდელმა, ეკლესია მლოცველებით აივსება. ტაძარი აგებულია მაღალ გორაკზე, რომელიც თითქმის მთელ სოფელს დაჰყურებს. ეკლესია წარმოადგენს უძველეს დროის ნაშთს. როგორც გადმოცემით ამბობენ, იგი თამარ მეფის დროს აგებული ყოფილა, გარშემო ამ ეკლესიის გალავანზე დასავლეთით ქვის შენობები ქონია (სახლების), იმ დროის მონასტერი ყოფილა, შიგ მარანიც ყოფილა გაკეთებული; დღესაც არის ამაში ჭურები. ტაძარს ორივეზე სამწირალოები ქონია, რომლის ნიშანია ძისი კედლის ბალაგების ნაშთი. თითონ ტაძარი დიდი ალ არის, იგი იკავებდა სიგრძით 16 არშინი. შიგნით ამ ტაძრის კედლები ყოფილა მხატვრობით შემკული. შემდეგ მტრისაგან განადგურებისა და დაწვისა მხატვრობა წარეცხა.

ღლესაც არის ერთი მხატვრობა საკურთხეველში ფან-ჯრის გვერდზე. შემდეგ ხალხს ეს ტაძარი განუახლებია და დღეს შიგ წირვა ლოცვა სრულდება. ამ ტაძარში ღვთის მშობლის ძველი შესანიშნავი ხატია. იგი იქნება სიმაღლით და სიგანით ნახევარ არშინზე მეტი. ხატი არის ძვირფასი ხელოვნების, წინიდგან არის სულ ოქრო, მორთულია ძვირფასი თვლებით, რიცხვით თექვსმეტი, ზურგიდგან ვერცხლით არის მოჭედილი. აქვს ასომთავრული წარწერა, ბოლოში ვიხთი მკითხველთან. მინდოდა ძალიან გულით წამეკითხა, მაგრამ გარკვევით ვერ ამოვიკითხე, თუ რა დროს და ვისგან არის ეს ხატი აქ მოტანილი. თუმცა შიგა და შიგ ამოვიცანი სიტყვები, მაგრამ არ ვსწერ მისთვის რომ ჩემი განკიცხვა იქმნება მკითხველის წინაშე, მხოლოდ ერთი სიტყვა ამოვიკითხე ყველაზე უფრო გარკვევით აი ეს: „მე ლალანიძემ". იმედია ამ ჩემს უმეცრებაზე განათლებული საზოგადოება არ განმკიცხავს. სხვა წარწერა ამ ეკლესიას არა აქვსრა. ამ ტაძრის გვერდზე სამხრეთით ყოფილა აკლდამა რომელზედაც არის დიდი ქვა დადებული. იმედია, ვინმე სიძველის მოყვარული დაისჯება და ნახავს ჩვენ მივარდნილ კუთხეს; სწორედ ამ წამებს ელის ჩვენი ღვთის მშობლის ხატის წარწერაც.

მღ. იოანე ციცქიშვილი.

— —

სოფ. დურევი. (შორაპნის მაზრა) სოფელი დურევი მდებარეობს დაბა საჩხერის მახლობლად; სხვა სოფლებთან შედარებით ხსენებული სოფელი ძალიან ღარიბი და მიყრუებულია. თუ რომელიმე სოფელს კი ეჭიროება შკოლა, მით უმეტეს ამ სოფელს, მაგრამ დღემდის მას გულ-შემატკივარი არავინ აღმოჩენია. დღეს კი, მღვდლის ნესტორ დევიძის ენერგიული შრომით და ადგილობითი მღ. ზაქარია აბაშიძის დახმარებით, სოფ. დურევში აღენთო ლამპარი ცხოვრებისა. 1912 წელს 24 ნოემბერს მღ. ნესტორ დევიძემ მიმართა დურეველებს სიტყვით, რომელშიდაც ცხადად დახატა დღევანდელი მათი [illegible] მდგომარეობა და აგრეთვე მნიშვნელობა სწავლისა. ხალხმა აღტაცებით მიიღო მღ. ნესტორ დევიძის წინადადება და კიდეც დაადგინა განაჩენი სამრევლო შკოლის გახსნაზე. ხსენებული განაჩენი მთავრობამ დაამტკიცა და ამა 1913 წლის 10 იანვრიდგან [illegible] დაიწყო სწავლა დურევის შკოლაში. მიწვეულია რომელიღაც [illegible] ხელოს. იმედი გვაქვს მასწავლებელი გოგოთ წერეთელი, რომელიც შეგნებული კაცი, როგორიცა მოეკიდება საქმეს და დურეველებს იმედს არ გაუცრუებს. დაბოლოს დიდს მადლობას ვუცხადებთ მღ. ნესტორ დევიძეს, რომელიც ყველასთვის გულწრფელად და მამაშვილურად იღვწის.

ილარიონ ხარშილაძე.

— —

სოფელ კორბოულში (შორაპ. მაზრა) გაიხსნა წიგნთსაცავ-სამკითხველო დიდებული მამულიშვილის და სახელოვანი პედაგოგის ი. ს. გოგებაშვილის სახელობაზედ. ვინაიდგან ხსენებული სამკითხველო ამ ჟამად განიცდის ქონებრივად დიდს ნაკლულევანებას, ამისთვის ხსენებული სამკითხველოს გამგეობა, მოწიწებით მიმართავს ქართველთა ხალხის შეგნებულ ნაწილს, სტამბების და წიგნის მაღაზიების მექონეებს მეპატრონეებს და წიგნების გამომცემელ ამხანაგობებს, რომ ხსენებულ სამკითხველოს აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება: ფულის, ავეჯეულობის და წიგნების შემოწირვით, რასაც გამგეობა დიდის მადლობით მიიღებს და გაზეთის საშუალებით საჯაროთ გამოაცხადებს.

შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: **Въ Сарчхери для Корбоульской имени Гогебашвили библіотеки свящ. Владимиру Магарашвили.**

გამგეობის წევრი მღ. ვლ. მაჭარაშვილი.

— —

ს. ჩხარი

არც ერთს დაწესებულებას, არც ერთს მოსამსახურეს იმდენი უფროსი და პატრონ-ბატონი არა ჰყავს, რამდენიც სამრევლო შკოლებს და მათ მასწავლებლებს. მიუხედავათ ამისა ძალიან ცოტაა მათში იმისთანა პირები, რომელთაც ეფიქრებათ შკოლებისა და მასწავლებლების უმწეო მდგომარეობა და ცდილობენ მათ წარმატებაზე. უზრუნველობა უმეტეს ნაწილათ შკოლების მახლობელ მთავრობას ემჩნევა. ეს უკანასკნელი ახლაც კი, როდესაც სოფლები იფინება სამინისტრო შკოლებით, რომლებიც კონკურენციას უწევენ სამრევლო შკოლებს და რომელთა გახსნის შემდეგ არა ერთი და ორი სამრევლო შკოლა იხურება, ახლაც არ ცდილობს რაიმე ზომების მიღებას მათდამი რწმუნებულ შკოლების გასაუმჯობესებლათ და მით თავიანთ შერყეულ ავტორიტეტის აღსადგენათ. პირიქით, ისეთ უზრუნველობაში [illegible] ტრიალებს, რომ თუ

დროზე არ გამოეხიზლდა და მეტი ენერგიით არ შეუსა-
და შოლეების გაუმჯობესების საქმეს, სრულ მოსპობის
კიდემდი მიიყვანს მათ.

ბევრ სამრევლო შკოლის მასწავლებელს მიაქვს
დღეს თხოვნა სახალხო შკოლების დირექციაში სამი-
ნისტრო უწყების შკოლებში მასწავლებლობის ადგი-
ლის სათხოვნათ. შიზეზი ამ ლტოლვისა ის უფარ-
გისი პირობებია, რომლებშიაც ჩაყენებულია დღევან-
დელი სამრევლო შკოლა. ხშირათ შეხვდებით სოფლე-
ბში ნახევრათ მშიერ-ტიტველ მასწავლებლებს, რომელ-
თაც ყოველგვარ ჰიგიენურ მოთხოვნილებათა გარეშე
მდგომ შენობაში მოუთავსებიათ შკოლა და დიდის
ვაი-ვაგლახით ამესადინებენ ბავშვებს. ვაი-ვაგლახით-
თქო, ვამბობ იმიტომ, რომ შეუფერებელ პირობებში
მოღვაწეობა უკარგავს მათ შრომის უნარს, უკლავს
ენერგიას და ძალდატანებითს ელფერს აძლევს მათ
მოკვეთებას. ჯამაგირიც არ ეხარებს ბევრს ამ ხეცათა
მასწავლებელთ და თავიანთ თავის მაწვალებელთა. ზოგს
უსასყიდლოთ იმსახურებენ, ზოგს ას ოც მანეთს აძლე-
ენ წლიურათ, ზოგს ას ოთხმოც მანეთს, ზოგს ორას
ორმოც მანეთს, ზოგი შიგა და შიგ თუ ურევია იმი-
სთანებიც, რომელთათვის სამას სამოცი მანეთი უბო-
ძნიათ; მაგრამ არც ისინი არიან მოსვენებული,
რადგან ყოველ დღე მოელიან ნაბოძები ჯამაგირის
„გამობოძებას.“ ამ ნაირ პირობებში მყოფი მასწავლე-
ბელი, რასაკვირველია, „ყოველთვის მზათ იქნება პირველ
შესთხვევაშიც მიატოვოს სამრევლო შკოლა და სხვა
უწყების სამსახურს მოჰკიდოს ხელი, სადაც ჯამაგირს
მაინც, ოთა იქნება თუ ბევრი, მიიღებს თავ-თავის
დროზე და არც ნამსახური დრო დაეკარგვის უსასყი-
დლოთ ისე, როგორც ეს ბევრ სამრევლო შკოლების
მასწავლებლებს მოსდით.

ამ მოვლენას სამრევლო შკოლების მთავრობა
გულ-გრილად არ უნდა შეუურებდეს, თუ მას სურს თა-
ვისი პოზიცია დაიკავოს და სხვას არ დაუთმოს. სხვა
მზრუველობასთან ერთად კარგ მასწავლებლების შეძე-
ნა-შენარჩუნებაზედაც უნდა ფიქრობდეს. მაგრამ წრ-
ნაღმდეგ ამ საანბანო ჭეშმარიტებისა თვითონ ინტერ-
ესებს თავიანთ უწყებიდგან ბევრ კარგ მასწავლებელს.
მათ რიცხვს ცნობილი ალექსი იყვნეს ძე გიორგაძეც
ეკუთვნება, რადგან, როგორც ჩანს გავრცელებული, სა-
ერთოდ სასყიდლის მოსაბრალს უპირებენ, რის შემდე-
გაც ის აძულებულია გახდეს სამრევლო შკოლაში
სამსახურს თავი მიანებოს. აგერ ამეტი წელიწადია,
რაც ეს პატიოსანი მუშაკი ჰფენს შკოლებსა და შკო-
ლებს გარეთ წმინდა ქართულ გალობას, აარსებს ეკლე-
სიებზე მგალობელთა გუნდებს და ეტკბობს მშვენიერი
საგალობლებით მლოცველთა სმენას. სულ ცოტა რომ
ვსთქვათ, თხუთმეტ ეკლესიაზე მაინც არის დღეს მისი
გაწყობილი ხორო. უფრო მეტის ენერგიით მუშაობდა
და მუშაობს დღესაც ბ. ალექსი შკოლებში, რასაც
თვით მთავრობაც ხედავდა და აფასებდა კიდეც. თუ
რამდენათ ნაყოფიერი იყო მისი შკოლებში მუშაობა,
განსაკუთრებით ალისუბნის სამასწავლებლო შკოლაში,
სადაც ის ამეტი წელიწადი მსახურობდა, ამას მოწმობს
ცოდნა მისი ნამოწაფარი მასწავლებლებსა, რომლე-
ბიც დამახინჯებულ ქართულ-ევროპიულ სიმღერების
მაგიერ ავრცელებენ პირველ დაწყებით შკოლებში წმი-
და ქართულ საეკლესიო გალობას. დღეს საზოგადოე-
ბა მეტი სიმპატიით ეპყრობა იმ შკოლებს, სადაც გა-
ლობა კარგადაა დაყენებული და ამიტომ ალექსი გი-
ორგაძის სამრევლო შკოლებიდან გაძევება დიდ ხიანს
მიაყენებს მათ. მაგრამ, ვსთქვათ, შკოლებსაც რომ
არაფერი ეენოს მისი გაძევებით, აქეს კი მთავრობას
ზნეობრივათ ამის უფლება? ამეტი წელიწადია, რაც
კაცი მსახურობს, დღესაც თითქმის ნახევარი წელიწადი
უსასყიდლოთ ასწავლის ორ შკოლაში ხუთი-ექვსი ვერ-
სის მანძილზე და მისი ახლაც უეურადღებოთ მიტო-
ვება უსამართლობა იქნება.

ჩხარელი.

წერილი რედაქციის მიმართ!

მამაო რედაქტორო!

გაზეთ „შინაური საქმეების“ 37 ნომერში მოთავსებულია წერილი ლაილაშის საბლაღოჩინოს მღვდელთაგანისა, რომელშიაც იგი სხვა „მარგალიტებთან“ ერთად შემდეგსა სწერს: „ლეჩხუმი მაშინ დასაჯა ღმერთმან, როდესაც სვანის (სვანის ხსენება მ. ბ. გულბანს არ ეხება), რაქველების და იმერელის ხელში ჩავარდენ“.

ამ წერილში, რომელშიაც ავტორი სრულს უვიცობას იჩენს ქართული ენის ცოდნაში, მეც ვიხსენიები, ვინაიდგან ლეჩხუმში, გულბანს გარდა, სვანთა-

განი მხოლოდ მე ვარ, თქვენი მორჩილი მოსამსახურე.

ყველა მიხვდება, რომ ზემორე ხსენებული სიტყვები გაჟღენთილია სიძულილით ლეჩხუმელისა სვანთა, რაჭველთა (?) და იმერელთადმი (მეტადრე სვანთადმი).

არ მოველოდით, თუ ერთს მაზრაში მცხოვრებთ ერთი და იგივე ტომის ხალხთ, ~~სვანლეჩხუმელთ ერთმანეთისაგან~~ განათიშებდნენ და სვანს ლეჩხუმში სამსახური დანაშაულობად ჩაეთვლებოდა! მამა მოძღვრის აზრით „ლეჩხუმი მხოლოდ ლეჩხუმისთვის“ ყოფილა! მე მგონია, სვანს იმდენივე უფლება აქვს იცხოვროს და იმსახუროს ლეჩხუმში, რამდენიც ლეჩხუმელს — სვანეთში და ორივეს იმერეთში და სხვაგან საქართველოში. მახურიდგან დამოკიდებული ცაგერამდე ცხენის წყლის ორივე მხარეს მდებარე სოფლები წინეთ სვანებით იყო დასახლებული.

სოფლების სახელები: ცაგერი, ჩხუტელი, ლარჩვალი, ჩვალბეჩი, ლუხვანი, შკერო, მახატრა — სულ სვანური სახელებია. ამ სოფლებში მცხოვრებნი გვარნი სვანური გვარებია: ლიპარტელიანი, დევდარიანი, მუშკუდიანი, კოპალიანი, ბენდელიანი, გასვიანი და სხვანი.

ტყუილია, ვითომც „ლეჩხუმი მაშინ დასაჯა ღმერთმა, როდესაც სვანის, რაჭველის და იმერლის ხელში ჩავარდა“ (და არა ჩავარდენ, როგორც ავტორი სწერს).

ლეჩხუმში ამ 20-30 წლის განმავლობაში მსახურებდნენ და მსახურებენ: ბლაღოჩინნი მღვდელნი ილარიონ და ალექსანდრე გერსამიები (იმერლები), მღვდელი სიმონ ჭედლიანი (სვანი), დეკანოზი გულბანი, მ. ი. მუსერიძე (რაჭველი), მ. ბოჭორიშვილი (რაჭველი), ვ. გაბიანი (სვანი) და მე. მამა ილარიონ გერსამია ერთი პატიოსან, მარჯვე და ნიჭიერ ბლაღოჩინთაგანი იყო ყოვლადსამღვდელო გაბრიელის დროს, აგრეთვე იყო მისი შვილი ალექსანდრე გერსამია, რომელმაც იმსახურა ლეჩხუმში 12 წლამდე. მ. კ. გაბიანი პატიოსანი და უწყინარი მღვდელთაგანია. მღვდელს ბოჭორიშვილს მე ვცნობ, როგორც მარჯვე მღვდელს. მღვდელი სიმონ ჭედლიანი (სვანი, ეხლა გარდაცვალებული) თუმცა სწავლა - განათლებას მოკლებული იყო, მაგრამ იმდენი სიყვარული დაიმსახურა, რომელსაც, თქვენ, მამაო, ვეჭვობ, ელირსოთ.

მაშ ვიცა დარჩა ჩემს მეტი! ეხლა შეგეკითხები, მამაო მოკეთე, რა დავუშავე მე ლეჩხუმს საზოგადოთ და ჩემს ეკლესიას კერძოთ! გთხოვ დამისახელო ერთი რამ ფაკტი მაინც, რომლითაც მე ჩირქი მეცხებოდეს და ლეჩხუმის წინაშე პირ-შავად მაჩენდეს! მანამდისინ-კი მუქაფად მიიღეთ ჩემგან სახელი ცილისმწამებელისა!

მამა ავტორი განაგრძობს: „უწინდელს დროებაში ვიდრე აქამომდე ცაგერის ეკლესია სამიტროპოლიტო სამღვდელმთავრო სობორო და მონასტერი იყო და იქიდგან სამღვდელოება და ერიც ღებულობდნენ მადლსა და კურთხევას, ეხლა სამწუხაროთ სულ სხვა სურათსა ვხედავთ“. ჯერ ერთი, მამაო, რომ ჩემდამო რწმუნებული ტაძარი სრულიადაც არ ყოფილა „აქამომდე“, როგორც თქვენ ამბობთ, მონასტრად და სობოროთ, არამედ მონასტრისა და სობოროს სახელი და მთელი მამული ჩამოერთვა მას 1881 წელში, ხოლო 1912 წელში დაუბრუნდა „სობოროობა“ ჩემი მეცადინეობით; მეორე, თუ იქიდგან წინეთაც კი ღებულობდნენ ყველანი მადლსა და კურთხევას, დღეს რაღა სამწუხარო სურათსა ხედავთ? რატომ არ დამისახელებთ იმ სამწუხარო სურათს? სამწუხარო მოვლენად მიგაჩნიათ იქნებ,

რომ ცაგერის სობოროს მშვენიერი ეზო-გალავანი გაუკეთდა 1906—1907 წ.წ. ჩემი მეცადინეობით, რომლის ბადალი რაჭა ლეჩხუმში არ მოიძებნება, როდესაც იგი სობორო წინეთ დიდათ შევიწროებული იყო!*) სამწუხარო მოვლენაა განა ის, რომ იმავე სობოროს 1910 წელში ჩემი მეცადინეობითა და ოტაოდენი წვლილის გაღებით გაუკეთდა მშვენიერი ახალი კანკელი მხატვრობით! ნუ თუ ესეც სამწუხარო მოვლენაა, რომ იმავე ეკლესიას 1912 წელში ახალი რკინის საუკეთესო სამრეკლო გაუკეთდა?!

არა, მამაო, მტკიცე რწმენით გეტყვი, რომ თქვენ ჩემდამო რწმუნებული სობოროს ცუდი მდგომარეობა დიდათ და დიდათ გაგახარებთ და სიკეთე-კი შეგაწუხებთ, როგორც ეხლა გაწუხებთ, და ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ცაგერის სობორო სიკეთეში მივიყვანე (შევმატე სიკეთე) მე სვანმა და ავტორად წერილისა, რომელსაც თქვენ ასე გაუპილპილებიხართ, მე მრაცხავთ, როგორც ეს თქვენი წერილიდგანა სჩანს.

მაგრამ იმწუხარე, იმოშურნე, ვინაიდგან ჩემდამო რწმუნებული ეკლესიის საქმე ძლიერ კარგათ მიმყავს. იქიდგან ძველებურზე არა ნაკლებს სულიერს საზრდოს პოულობს მრევლი ცხოველი სიტყვის გაგონებით და მაღლის მიღებით. ვერც ერთს ლეჩხუმის ეკლესიაში ვერ ნახავთ, მამაო, იმდენს მლოცველებს, როგორც ცაგერის სობოროში! მე ხუ დამიჯერებთ და ჰკითხეთ თვით ხალხსა და ლვთის მოშიშს მაზრის უფროსს ბ. ენკელს, რომელიც არც ერთს წირვას არ დაკლებია და ჩემს სიმართლეს დაადასტურებს!

მაგრამ რასვამბობ, მეცა? ეს ყოველივე იცით თქვენც მამაო, და ამიტომაცაა, რომ გოდებთ, შური გალაპარაკებთ!..

მერმე განაგრძობს მამა მოკეთე:

„ცაგერის საბლაღოჩინოდგან მთელი ლეჩხუმის სამლვდელოება ვილანძღებით. ანდაზაა! „ცაგერი და გვერო სვანებისა ეზო, ლუხვანი და ხარაგულა სვანებისგან დარანგულა“ (ეს სიტყვები მხოლოდ სვანების სიძულილით არის ნახმარი!) „ცაგერის ოლქის ბლაღოჩინი და ს.ს. ხარაგულას, ოყურეშის და სანორჩის მღვდლები ერთმანეთს უჩივიან და ს. მღვდელო შენ მთელ სამღვდელოებას ლანძღავ“...

ცაგერის ბლაღოჩინი, იგივე მ. ი. მარგიანი, თქვენი მორჩილი მოსამსახურე სრულებით არ უჩივის ხარაგულის, ოყურეშის და სანორჩის მღვდლებს, არამედ ისინი მიჩივიან და ისიც უფრო თქვენისთანაების ჩაგონებით; მიჩივიან, მაგრამ სრულებით უსაფუძვლოთ, რაიც გამოძიებამ დაამტკიცა... ვინ იყვნენ, რომ ჩემდამო რწმუნებულ მღვდლებს არწმუნებდნენ: „ეპისკოპოსი არა სწყალობს მარგიანს, გვირჩია უჩივლოს სამღვდელოებამ და დავითხოვ ბლაღოჩინობიდგანაო“! ამაზე შორს-ღა წავა ვერაგობა!

ეხლა გკითხავ, მამაო, ვინ ვისგან ილახძღება უბრალოდ?!

მამაო, თქვენ სხვას ეძახით ცილის მწამებელს და ეს სახელი—კი თქვენზე ყოფილა ზედ-გამოჭრილი.

დასკვნა: 1) მამა მოძღვრის წერილი ქუჩურ საუბარს მოგვაგონებს: იგი მოკლებულია ზრდილობას, ლოლიკის რამ ნიშან-წყალი არც-კი ეტყობა, გრამმატიკის მხრით ძლიერ წაისუსტებს და ენის უცოდინობა უვიცის სახელს უმტკიცებს მის ავტორს!

2) იგი ზიზღითა და პირადული ანგარიშებით არის გაჟღენთილი და ჩემდამო მომართული.

3) სამწუხარო მდგომარეობაში კი

*) ეზისათვის საჭირო მამული მ. ა. გელისაძის წყალობით დაუბრუნეს 1905 წ. ეკლესიას.

არა, ალყავებაშია ჩემდამო რწმუნებული ცაგერის ტაძარი და ეს ავტორს ხსენებულ წერილისას მეტად აწუხებს.

4) მე ლეჩხუმის წინაშე სიკეთის მეტი ცუდი არაფერი არ მიმიძღვის.

5) სვანები ძმები ვართ ლეჩხუმელ-რაჭველ-იმერელ-გურულ-კახელებისა, ამიტომაც ჩვენში მოსამსახურე მღვდელთ არა სვანთ, ჩვენ არამც თუ არა ვთიშავთ ჩვენგან, პირიქით საკუთარ ძმებად მიგვაჩნია.

6) ლეჩხუმში მოსამსახურე მღვდელთა (სვან-რაჭველ-იმერელთა) უმეტესი ნაწილი საუკეთესო სალ ელემენტს შეადგენდა და შეადგენს.

ბლაღ. მღვდელი იოანე მარგიანი.

მადლობის გამოცხადება!

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვ ნება მიბოძოთ, თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოვუცხადო, როგორც მე, ისე ჩემი შკოლის მასწავლებლების და აგრეთვე ამავე შკოლის 145 მოწაფის მხრით, მცხოვრებს ქ. ქუთაისში ნიკოლოზ ილიასძე კერესელიას, რომელმაც რწმუნებულს ჩემდამი არგვეთის ორკლასიან სამრევლო შკოლას გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“. იმედი მაქვს ხსენებულ პირს წამბაძველნი აღმოუჩნდებიან, რომელთაც დიდი მადლობა გამოეცხადებათ გაზეთის საშუალებით.

სოფლის არგვეთის ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო შკოლის გამგე **მღ. ნესტორ დევიძე.**

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, თქვენ პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც პირადად ჩვენგან, ისე სოფ. ჯვარზენის წმიდის გიორგის ეკლესიის მრევლის მხრით, ხსენებული ეკლესიის მღვდელს მ. სოლომონ გეთიას, რომელმაც თავის მეთაურობით და დაუღალავი შრომით განაახლა ეკლესია ახალი უძვირფასესი ხატებით და ჩალანგარი „ჩვენის ხელობისა წმინდა ოქროს ფონზე ეკლესიის შემოსავლიდან, ღირებული 1010 მანეთად. ეხლა ღვთის შეწევნით ეკლესია შესაფერად მორთულია, მხოლოდ კედლების შეღებვა აკლია, რომელიც აუშნოებს ძვირფას მხატრობას, ვიმედოვნებთ, რომ მამა სოლომონი დატრიალდება თავისებურად და იმასაც შეძენს, რითაც დააგვირგვინებს თავის სამწყსოში მოღვაწეობას.

ამა ეკლესიის ორ-კლასიანი სკოლის მასწავლებელი მიხეილ მანია.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჭედლიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა.**

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველთვიურ ჟურნალ

„განთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და ყოველკვირეულ გაზეთ

შინაურ საქმეებზე“

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს **ორივე გამოცემა წლიურად 7 მანეთად დაეთმობა.** ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მჭედლიძე.

ჩვენი შკაფი.

(ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“)

ამ ჟამად **ძმობის შკაფში** ბ. ი. კვიცარიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში იმყოფება შემდეგი სარწმუნოებრივ შინაარსის წიგნები და წიგნაკები:

1. მხედრული სახარება სამოციქულოთი და დავითნით დიდი და პატარა ფორმატისა.
2. საგალობლები.
3. სიბრძნე ბალიეარისა.
4. ცხოვრება წმ. საკვირველ-მოქმედისა ნიკოლოზისა.
5. ცხოვრება წმ. მაკს. თეკლასი.
6. ცხოვრება ღირსისა მამისა ილარიონ ქართველისა.
7. — ღირსისა მამისა მაკარი ეგვიპტელისა.
8. — ღირსისა დედისა თეოდორასი.
9. — წმ. უვეკხლო მკურნალისა პანტელეიმონისა.
10. ცხოვრება დიდისა მოწამისა ევსტათისი.
11. წამება წმ. მიქელ ტრიმიდატელისა.
12. ცხოვრება შკიდთა ერმათა ეფესელთა.
13. ხორციელად დაუფლება ქრისტესი და შთასვლა ჯოჯოხეთში.
14. ცხოვრება თედორე ჯვარ-მტვირთველისა.
15. — ისე წილენელ ეპისკოპოსისა.
16. მანანა
17. ცხოვრება წმ. ევსევესისა.
18. ოლ ქრონიკა.
19. ფილოსოფოსი სოკრატი.
20. ცხოვრება წმ. მოწ. თეოდორე ტიროსისა
21. წამება წმ. მარინესი.
22. ცხოვრება წმ. იაკობ დაჭრილისა.
23. ცხოვრება აღდგომა ოდეის ეკლესიაჲ
24. — [illegible] მაკსიმე აღმსარებელისა.
25. — ბრძნული სიტყვები.
26. — წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი
27. წამება წმ. [illegible]ისა.
28. ოქროს წყარო.
29. [illegible] სიტყვები.
30. ცხოვრება წმ. მარიამ ეგვიპტელისა.
31. პარაკლისი დავით გარესჯელისა.
32. ცხოვრება წმ. მამისა დავით გარესჯელისა.
33. ფაბიოლა, ანუ უწინდელი ქრისტიანები.
34. ნოტების სახელმძღვანელო.
35. კარგი ყველგან კარგია.
36. ენის გაჩენა.
37. მესამე ოქრო.
38. ბუნება და ადამიანი.
39. ქრისტიანობა და დემოკრატია.
40. ერთი ღამე აკალდამაში.
41. ახალი აღთქმის საღვთო ისტორია.
42. გზა ცხოვრებისა.
43. კაიაფას ვაჟი შეილი.
44. პროფ. მაქს მიულლერის ახრი მატერიალიზმზე.
45. სარწმუნოება და მისი უარის მყოველნი ჩვენში.
46. ქრისტე ღმერთია?
47. ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში
48. წყარო ურწმუნოებისა.
49. მოკლე საეკლესიო ისტორია.
50. სამი მკნება.
51. მოხსენება პროფ. ცაგარელისა საქართ. მკ. ავტოკეფალიის შესახებ.
52. აკაკი როგორც მგოსანი ძამეულიშვილი.
53. ორა კაც კლა.
54. პატარა ქრისტიანი.
55. წმ. ნინოს დდეობა და მისი მნიშვნელობა.
56. ათეიზმი, მისი წარმოშობა და გაკლენა მეცნიერებაზე და ცხოვრებაზე.
57. სოკედილი მართლისა.
58. სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მეკვლეთით აღდგომისა.
59. მოთხრობა შობისათვის უფლისა ჩვენისა ი. ქრისტესა.
60. მეგობელ ფოკა.
61. პატარა ქრისტიანი ანუ საჭიროა თუ არა ეკლესიაში ვიარებოდეთ?
62. წამება წმიდისა მარწ. ეკლესისა.